სემინარი 4 — „ვერ დაგელოდეთ“

ევროკავშირის სამართალი · კვირა 4 · ქეისი: Isoglucose (1980)

გიორგი კობერიძე · ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

სემინარი 4 — „ვერ დაგელოდეთ“

> **ფორმატი:** Case Method · 50 წთ · ორი გუნდი (მომჩივანი + ევროპარლამენტი / საბჭო) → პლენარული დისკუსია → „სასამართლო“ **მოსამზადებლად:** დარიგება (კვირა 4), ნაწილი I და III.4 · ცხრილები 1, 7 · ქეისის ფაქტები ქვემოთ

რატომ ეს ქეისი

ხელშეკრულება ხშირად ამბობს: საბჭო იღებს აქტს „ევროპარლამენტთან **კონსულტაციის** შემდეგ“. ევროპარლამენტის აზრი საბჭოს **არ ბოჭავს**. მაშ, რა მოხდება, თუ საბჭო ამ აზრს უბრალოდ **არ დაელოდება** — განსაკუთრებით მაშინ, როცა ვადა იწურება და პარლამენტი თავად აჭიანურებს?

ეს **ინსტიტუციური ბალანსის** ქეისია: რამდენად ღირს „მხოლოდ“ აზრი?

ნაწილი A — ფაქტები

SA Roquette Frères v Council of the European Communities, Case 138/79, 1980

1. **1978** — სასამართლომ იზოგლუკოზის მწარმოებლებისთვის დაწესებული მოსაკრებელი **თანასწორობის პრინციპის** დარღვევად მიიჩნია (შაქრის მწარმოებლებთან შედარებით). საბჭოს შეეძლო ახალი ზომების მიღება. *(პარ. 6, PDF გვ. 20)*
2. **1979-03-07** — კომისიამ წარადგინა წინადადება: იზოგლუკოზის წარმოების **კვოტები**, 1979 წლის 1 ივლისიდან. **1979-03-19** — საბჭომ ევროპარლამენტს აზრი სთხოვა EEC-ის მუხ. 43(2)-ით და აპრილის სესიაზე განხილვა ითხოვა. *(პარ. 7–8, PDF გვ. 20–21)*
3. ევროპარლამენტის კომიტეტებმა საკითხი განიხილეს; **1979-05-10** — დებატები პლენარულ სესიაზე; **05-11** — ევროპარლამენტმა რეზოლუციის პროექტი **უარყო** და კომიტეტს დაუბრუნა. *(პარ. 9, PDF გვ. 21)*
4. მაისის სესია **ბოლო** იყო 1979 წლის 17 ივლისს **პირველად პირდაპირ არჩეული** ევროპარლამენტის შეკრებამდე. ბიურომ დამატებითი სესია არ დანიშნა, მაგრამ ორჯერ (03-01, 05-10) აღნიშნა, რომ საბჭოს ან კომისიას შეეძლო **რიგგარეშე სესიის** მოთხოვნა. *(პარ. 10, PDF გვ. 21–22)*
5. **1979-06-25** — საბჭომ რეგულაცია 1293/79 **აზრის გარეშე** მიიღო. პრეამბულაში ჩაწერა, რომ ევროპარლამენტს „კონსულტაცია ჩაუტარდა“ და მაისის სესიაზე აზრი არ გამოუთქვამს. *(პარ. 11, PDF გვ. 22)*
6. **Roquette Frères**-მა (კვოტა დანართში — **15 887 ტონა**) რეგულაციის ბათილობა მოითხოვა. საქმეში **ევროპარლამენტი ჩაერთო** — მომჩივნის მხარეს. *(პარ. 12, 15, 17, PDF გვ. 22–24)*

სამი კითხვა, რომელიც სასამართლოს წინაშე იდგა:

1. შეუძლია თუ არა კომპანიას **რეგულაციის** გასაჩივრება? *(EEC 173 — დღეს TFEU 263)*
2. შეუძლია თუ არა ევროპარლამენტს საქმეში **ჩარევა** — თუ ხელშეკრულება მას სარჩელის შეტანის უფლებას არ აძლევს?
3. დაარღვია თუ არა საბჭომ **არსებითი პროცედურული მოთხოვნა**?

ნაწილი B — ორი გუნდი

	⚖️ **Roquette + ევროპარლამენტი**	🏛️ **საბჭო**
დაშვება	რეგულაციის დანართი კვოტას **კონკრეტულ** საწარმოებს უწესებს → „decision in the form of a regulation“ *(პარ. 13)*	ეს **ზოგადი** აქტია; კომპანიას უშუალოდ და ინდივიდუალურად არ ეხება *(პარ. 13)*
ევროპარლამენტის ჩარევა	სტატუტის მუხ. 37 — **ყველა** ორგანოს აქვს ჩარევის უფლება *(პარ. 18)*	ჩარევა = სარჩელის უფლება, რომელიც ევროპარლამენტს **არ აქვს**; თანაც ინტერესი არ აქვს *(პარ. 17, 20)*
პროცედურა	კონსულტაცია დაირღვა → აქტი ბათილია *(პარ. 32)*	**თავად ევროპარლამენტმა** გახადა შეუძლებელი აზრის მიღება — მასზე დაყრდნობა არ შეიძლება *(პარ. 35)*
საფრთხე	თუ „თხოვნა“ საკმარისია, საბჭო ნებისმიერ დროს გვერდს აუვლის ევროპარლამენტს	თუ აზრის გარეშე ვერ ვიმოქმედებთ, ევროპარლამენტს ფაქტობრივი **ვეტო** ექნება — უბრალოდ დუმილით

ნაწილი C — მოსამზადებელი კითხვები (ყველა სტუდენტისთვის)

1. ევროპარლამენტის აზრი საბჭოს **არ ბოჭავს**. მაშ, რატომ უნდა იყოს მისი უგულებელყოფა აქტის ბათილობის საფუძველი? (TEU 13(2); TEU 10(1)–(2))
2. საბჭოს არგუმენტი — „თქვენ თავად დააგვიანეთ“ — სამართლიანია? რა უნდა გაეკეთებინა საბჭოს, სანამ აზრის გარეშე იმოქმედებდა? (მინიშნება: ფაქტი 4)
3. დღეს **TFEU 43(2)** ბაზრის საერთო ორგანიზაციისთვის **ორდინარულ** პროცედურას ითვალისწინებს. შეიძლება თუ არა *Isoglucose*-ის მსგავსი ქეისი დღეს — და სად? (ცხრილი 7; TFEU 22(1); **43(3)**)
4. 1980 წელს ევროპარლამენტს ბათილობის სარჩელის უფლება **არ** ჰქონდა. დღეს TFEU 263 (მეორე აბზაცი) ვის ასახელებს?